კომისია წარადგენს კანონპროექტს ბროილერის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად

კომისიამ მიიღო წინადადება ხორცის წარმოებისათვის მოშენებული ქათმების (ბროილერი) კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. კვლევებმა ფრინველთა ინტენსიურ მეურნეობებში ცხადყო, რომ ცხოველთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დონე არსრულყოფილია. ეს კანონპროექტი შეიქმნა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და მოქალაქეების ხანგრძლივი მოთხოვნის საფუძველზე, რათა კომისიამ მიიღოს გარკვეული ზომები ამ მიმართულებით.

ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიის წევრმა მარკოს კიპრიანომ აღნიშნა, რომ ცხოველთა კეთილდღეობა არ არის მხოლოდ ეთიკის საკითხი, ეს უპირველესად განსაზღვრავს ხარისხს. ევროკავშირში ყოველწლიურად დაკლული ფრინველის რაოდენობა საგრძნობლად აღემატება სხვა დაკლულ ცხოველთა რიცხვს. ამ სექტორში ინტენსიური მეთოდების გამოყენება ქმნის კეთილდღეობის მნიშვნელოვან პრობლემებს. ეს განაპირობებს მომხმარებლების მიერ ქათმების კეთილდღეობის საკითხით განმეორებით დაინტერესებას.

შემოთავაზებული წინადადება ეხება სადგომებში ცხოველთა სიმჭიდროვის საკითხს. ცხოველთა კეთილდღეობის მინიმალური პირობები გულისხმობს ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე მაქსიმუმ 30 კგ. ცოცხალი ცხოველის ყოლის შესაძლებლობას. ფერმერებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო სადგომი, საკვები, სასმელი წყალი და შესაბამისი ვენტილაცია. შენობებში უნდა იყოს საკმარისი განათება. უნდა ჩატარდეს დღეში მინიმუმ ორი შემოწმება. სერიოზულად დაზიანებულ ან ავადმყოფ ფრინველს უნდა უმკურნალონ ან დაუყოვნებლივ დაადონ წუნი. ამ მინიმალურ სტანდარტებს უნდა დაერთოს შენახვა-აღრიცხვიანობის დეტალური მოთხოვნები - ტემპერატურა შენობაში; სამედიცინო მკურნალობის ადმინისტრირება ან სიკვდილიანობის მაჩვენებლები. კეთილდღეობის საკითხი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოველების სიმჭიდროვის პრობლემა – 30 კგ/მ^2. ინსპექტორების დასკვნის საფუძველზე ფერმერებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კეთილდღეობის სხვა პირობებს, შესაძლებლობა ეძლევათ კვადრატულ მეტრზე 38 კგ. ცოცხალი ცხოველი მოაშენონ.

ეს არის ევროკავშირის პირველი კანონპროექტი ამ სფეროში. დღესდღეობით სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაში მხოლოდ 98/58/EC მითითების(დირექტივის) ზოგადი მოთხოვნებია გამოყენებული ეროვნული კანონებისა და საპროცესო კოდექსის დამატებით. საკონსულტაციოდ წარდგენილმა წინასწარმა წინადადებებმა ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების, მომხმარებელთა ჯგუფებისა და ინდუსტრიული წარმოებების მოწონება დაიმსახურა. წარმოდგენილი მოთხოვნები ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ აუცილებელს ხდის შეიქმნას ევროკავშირისათვის მისაღები მინიმალური წესები ბროილერებით ვაჭრობისათვის. ცხოველთა კეთილდღეობის მონიტორინგი ინტეგრირებულია არსებულ ვეტერინარულ კონტროლთან, რათა მოხდეს ინსპექტორებისა და მწარმოებლების დამატებითი დატვირთვის მინიმალიზაცია.

შემდეგი საფეხურები

ეს დირექტივა განხილული იქნება ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის მიერ. კომისიას წარედგინა მოთხოვნები, რათა 2 წლის განმავლობაში წარმოადგინოს საბოლოო მოხსენება დირექტივით გათვალისწინებული ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტებზე დაფუძნებული აუცილებელი მარკირების სქემების შესახებ. ევროპის კომისია გეგმავს ცხოველთა კეთილდღეობის შემდგომ განვითარებას, რაც წარმოდგენილი იქნება ევროკავშირის მომავალ სამოქმედო გეგმაში.

ევრო კავშირი
IP/05/637
ბრიუსელი, 31 მაისი 2005